საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/129

09 ---- ივნისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ სალომე ჯაფარიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 და მე-14 მუხლების, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ დებულების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა (ოქმი №21-20/08, 03.06.2022), ,,ERASMUS+ საგრანტო პროექტის „საქართველოს უნივერსიტეტებში მე-3 მისიის ხარისხის და აქტუალურობის გაძლიერება" პერსონალის (მერაბ ხალვაში და ირაკლი კორძაია) ფინეთში, ტურკუს უნივერსიტეტში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 31 მაისის N01-06/90 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 ნოემბრის N01-02/211 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 სექტემბრის №01-09/513 (სალომე ჯაფარიძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ), ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 26 მარტის N01-08/185 ბრძანება (რიგგარეშე მობილობა ბრძანება) და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის რეზო მანველიძის 2022 წლის 7 ივნისის №606788 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ სალომე ჯაფარიძის სადისერტაციო ნაშრომის **„კლასტერების ფორმირების შესაძლებლობები და პერსპექტივა საქართველოს საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურებში და მასთან დაკავშირებულ სატრანსპორტო სისტემებში“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 24 ივნისს 14 საათზე, №430 აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).
2. დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. **გელა მამულაძე** (კომისიის თავმჯდომარე) - ეკონომიკის დოქტორი, ბსუ-ს პროფესორი;

2.2. **ლეილა ცეცხლაძე** (კომისიის მდივანი) - ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი;

2.3. **ვლადიმერ ღლონტი** - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბსუ-ს პროფესორი;

2.4. **ნათელა წიკლაშვილი** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.5. **ასიე ცინცაძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.6. **ვაჟა ვერულიძე**– ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.7. **ლელა ონიანი** - ბიზნესის მართვის დოქტორი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.8. **დავით ქათამაძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.9. **გიორგი აბუსელიძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.10. **მურმან ცეცხლაძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.11. **ირმა ჩხაიძე** – ეკონომიკის მეცნეირებათა კანდიდატი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ასისტენტ-პროფესორი ლ. ცეცხლაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორის მოადგილე, პროფესორი ანზორ ბერიძე